

გადახდისუნარობის რეფორმა

აღწერა:

გადახდისუნარობის ახალი კანონი – „რეაბილიტაციისა და კრედიტორთა კოლექტიური დაკმაყოფილების შესახებ“, გადახდისუნარობის საქმის წარმოებაში ქართული რეალობისთვის ინოვაციურ მიდგომას წერგავს და ფირმის გაკოტრების ნაცვლად მისი რეორგანიზაციის წახალისებას ცდილობს, რისთვისაც მრავალჯერ ინსტრუმენტს სთავაზობს ბიზნესებს. საკანონმდებლო ჩარჩოს მიხედვით, განსაზღვრული შედეგების მისაღწევად რამდენიმე ძირითადი აქტივობა განხორციელების პროცესშია. მათ შორისაა რეფორმაზე მორგებული ციფრული ინფრატრუქტურის შემუშავება; გადახდისუნარობის პრაქტიკოსთა ეტიკის კოდექსისა და რეფორმის მხარდამჭერი სხვადასხვა ღონისძიების განხორციელება ბიზნესის რეაბილიტაციისა და გადახდისუნარობის პრაქტიკოსთა ასოციაციის (BRIPA) მიერ.

რეფორმის მიზნები:

- » სიცოცხლისუნარიანი ბიზნესების რეაბილიტაციის ხელშეწყობა
- » კრედიტორების მოთხოვნათა დაკმაყოფილების მაჩვენებლის ზრდა
- » გადახდისუნარობის საქმის წარმოების ხანგრძლივობის შემცირება
- » კრედიტორთა სამართლიანი რიგითობის უზრუნველყოფა
- » გადახდისუნარობის საქმის წარმოების ხარჯების შემცირება
- » ბიზნეს გარემოს გაუმჯობესება
- » მმართველობის ხარისხის გაუმჯობესება

რაოდენობრივი ანალიზი:

	რეფორმამდე (18 თვე)	რეფორმის შემდეგ (18 თვე)
დასრულებული გადახდისუნარობის საქმეების საშუალო ხანგრძლივობა	1.2 წელი	0.7 წელი ↓
რეაბილიტაციის წილი წამოწყებულ გადახდისუნარობის საქმეებში	12%	50% ↑
სასამართლოში შესული მიმართვები გადახდისუნარობის საქმეთა წამოწყების შესახებ	151	70 ↓
წამოწყებულ საქმეთა შორის დასრულებული საქმეების წილი	17%	27% ↑

რეფორმის შეფასება დაინტერესებულ მხარეთა მიხედვით:



შენიშვნა: ამ პუბლიკაციის მომზადება შესაძლებელი გახდა ამერიკელი ხალხის მიერ, USAID-ის მეშვეობით, განუვლი დახმარების შედეგად. პუბლიკაციაში გამოთქმული მოსაზრებები შეიძლება არ ემთხვეოდეს აშშ-ის საერთაშორისო განვითარების სააგენტოს ან აშშ-ის მთავრობის პოზიციას.

